პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 30 იანვარი, 1943 წ. № 24 (6649). ფასი 20 კაპ.

წითელი არმიის მხედართუფროსები

დღეს სამშობლო პატივსა სცემს წითელი არმიის გამოჩენილ მხედართუფროსებს, ვისი მოწიფული, მტკიცე ოსტატობა წარმატებით გვირგვინდება გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ველებზე. სუვოროვის I ხარისხის ორდენით დაჯილდოებული არიან: საბჭოთა კავშირის მარშალი ამხ. ჟუკოვი, არტილერიის მარშალი ვორონოვი, გენერლები ბატოვი, ვასილევსკი, ვატუტინი, გოვოროვი, გოლიკოვი, გოლოვანოვი, ერემენკო, კუზნეცოვი, ლელიუშენკო, მალინოვსკი, მასლენიკოვი, მერეცკოვი, მოსკალენკო, ნოვიკოვი, პოპოვი, როკოსოვსკი, რიბალკო, ტოლბუხინი, ჩისტიაკოვი, ჩუიკოვი და შუმილოვი.

ამ სახელებს მშვენივრად იცნობენ წითელი არმია და საბჭოთა ხალხი. წითელი არმიის ამ მოწინავე გენერლებმა გამოიჩინეს ჯარების წინამძღოლობის ნამდვილი ხელოვნება, შესძლეს საუცხოოდ მოეწყოთ საბრძოლო ოპერაციები, გამოიჩინეს სიმტკიცე და შეუპოვრობა მიღებული დამიცემული გეგმების განხორციელებაში და უზრუნველჰყვეს თავიანთი ჯარების ბრწყინვალე გამარჯვება სამშობლოსათვის ბრძოლებში. ერთნი ამ გენერალთაგან თავიანთი ჯარებით ანადგურებდნენ რიცხვობრივად ჭარბ მტერს, მეორენი ოსტატურად ახორციელებდნენ ოპერაციებს მტრის დივიზიების გარშემოსარტყმელად და მისი ცოცხალი ძალის მოსასპობად, მესამეთ გამოიჩინეს ინიციატივა მტრისათვის დასარტყმელად ადგილის ამორჩევაში და მოახერხეს ამ დარტყმის ბოლომდე მიყვანა, წაართვეს რა მტერს წინააღმდეგობის გაწევის უნარი. ისინი ყველანი თავისი სამხედრო მოვალეობისადმი უსაზღვრო თავდადებით მთელ თავიანთ ძალებს ახმარებენ მტერთან ბრძოლას, მამაცურად და ნიჭიერად ასრულებენ წითელი არმიის უმაღლესი მთავარსარდლობის ნება-სურვილს.

უკანასკნელი ხნის ოფიციალურ ცნობებში საბჭოთა ხალხს ხშირად ესმოდა ბევრი დაჯილდოებულის სახელი. საბჭოთა კავშირის მარშალმა ამხ. ჟუკოვმა ეს უმაღლესი სამხედრო წოდება სამამულო ომის ბრძოლის ასპარეზზე დაიმსახურა. სარდლობდა რა დასავლეთის ფრონტს, იგი ახორციელებდა მოსკოვთან გერმანელთა ჯარების განადგურების სტალინურ გეგმას. იყო რა უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის წარმომადგენლად, ამხ. ჟუკოვი ახორციელებდა სტალინგრადის მისადგომებზე მტრის ჯარების გარშემორტყმისა და განადგურების სტალინურ გეგმას. საბჭოთა კავშირის მარშალ ამხ. ვოროშილოვთან ერთად ამხ. ჟუკოვი კოორდინაციას უწევდა ლენინგრადისა და ვოლხოვის ფრონტების მოქმედებას ლენინგრადის ბლოკადის გასარღვევად.

ფართო პოპულარობით სარგებლობს ჩვენს ქვეყანაში არმიის გენერალ ამხ. ვასილევსკისა და არტილერიის მარშალ ამხ. ვორონოვის სახელები. ამხ. ვორონოვის უშუალო ხელმძღვანელობით ჩვენი არტილერია ანადგურებდა გერმანელთა დივიზიებს სტალინგრადის რაიონში. ამხ. ვასილევსკიმ ხელმძღვანელი მონაწილეობა მიიღო ჩვენი ჯარების შეტევის ჩატარებაში ვორონეჟის სამხრეთით და კოორდინაციას უწევდა ვორონეჟისა და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტების მოქმედებას.

საყოველთაო პატივისცემით არის გარემოცული საბრძოლო წარმატებანი მოსკოვის დაცვის ერთ-ერთი გმირისა, ახლა დონის ფრონტის სარდლის, გენერალ-პოლკოვნიკ ამხ. როკოსოვსკისა, რომელიც სარდლობს ლეგენდარულ 62-ე არმიას, სტალინგრადი რომ დაიცვა, გენერალ-ლეიტენანტ ამხ. ჩუიკოვისა, გენერალ-პოლკოვნიკების ამხ. ვატუტინის, გოვოროვის, გოლიკოვის, ერემენკოსი, არმიის გენერალ ამხ. მერეცკოვის, გენერალ-ლეიტენანტ ამხ. მასლენიკოვისა და სხვა სახელოვანი გენერლებისა, რომლებიც დაჯილდოებული არიან სუვოროვის I ხარისხის ორდენით.

სიყვარულითა და სიამაყით მიესალმება საბჭოთა ხალხი დღეს წითელი არმიის იმ მხედართუფროსებსაც, რომელთა გამოჩენილი როლი სამამულო ომში აღნიშნულია სუვოროვის II ხარისხის ორდენებით, კუტუზოვის I და II ხარისხის ორდენებით.

მთელი მსოფლიო დაძაბული ყურადღებით ადევნებს თვალყურს წითელი არმიის შეტევის ძსვლელობას. ყველგან, საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის თვალუწვდენელი ფრონტის მთელ მანძილზე ინიციატივა ჩვენი ჯარების ხელშია. წითელი არმიის დარტყმებით ჰიტლერელთა და მათ მოკავშირეთა ავანსაკურ ურდოებს კოლოსალური ზარალი მოსდით.

სამამულო ომის წლინახევრის გამოცდილებას ამაოდ როდი ჩაუვლია ჩვენი მეთაურთა კადრებისათვის. წითელი არმიის მებრძოლებმა ისწავლეს მტრისადმი აუცდენელი დარტყმა, მისი მეთაურები გამოიწრთვნენ ომის ცეცხლში, ისწავლეს მტრის ტაქტიკა, გამოიმუშავეს ბრძოლის ხელმძღვანელობის საკუთარი ხერხები, გახდნენ უფრო ძორსმჭვრეტელნი, უფრო გაძოცდილნი, უფრო გამჭრიახნი. გაზრდილი გამოცდილება, გაზრდილი უნარი ომის წარმოებისა —წითელი არმიის ახლანდელ გამარჯვებათა უმნიშვნელოვანესი პირობაა.

„თუმცა გულადობა, მამაცობა და ვაჟკაცობა ყველგან და ყოველ შემთხვევაში საჭირო, მაგრამ ამაოა ისინი, უკეთუ ხელოვნებისაგან არ წარმოსდგებიან“, — ამბობდა დიდი რუსი მხედართმთავარი სუვოროვი, რომლის ორდენითაც ამჟამად აღნიშნული არიან ჩვენი საუკეთესო მხედართუფროსები.

ახლახდელი შეტევითი ოპერაციების მასშტაბები და გაქანება, შედეგები და ნაყოფი მოწმობენ წითელი არმიის მხედართუფროსების გაზრდილ ხელოვნებას, უმაღლესი მთავარსარდლობის ღრმა განზრახვათა შემოქმედებითი განხორციელების მათს უნარს. ამ გეგმების მომზადება და ჩატარება მოითხოვს არაჩვეულებრივ საზრიანობას, ნამდვილ სამხედრო ჰორიზონტს, ფართო ერუდიციას, ვითარების საუცხოოდ ცოდნას, თავისი და მტრის ძალების ფხიზელ გათვალისწინებას, დასაბუთებული რისკის გაწევის უნარს. ამ თვისებებით განირჩევიან წითელი არმიის გენერლები. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც აღჭურვილი არიან საბჭოთა სამხედრო ხელოვნებით, რაც ამხანაგ სტალინის მიერ აყვანილია ჩვენი დიადი ქვეყნის შესაფერის დონეზე.

რადიოსა და ტელეგრაფს ყოველდღე მოაქვთ ახალი ცნობები საბჭოთა მეომრების გამარჯვებათა შესახებ. და ყოველ ამ გამარჯვებაში საბჭოთა ხალხი ხედავს ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულ ძალთა გენიალური მხედართმთავრის ბრძნული, შეუდრეკელი ნებისყოფის განხორციელების ნაყოფს. მოქმედებენ რა სტალინური გეგმით, საბჭოთა ჯარები მტკიცედ და განუხრელად სწმენდენ საბჭოთა მიწა-წყალს ჰიტლერული სიბილწისაგან, გარს ერტყმიან და ჟლეტენ მტრის ძალებს. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით წითელი არმიის ნაწილებმა მთელი რიგი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს, რომლებმაც უკვდავი სახელით შემოსეს საბჭოთა იარაღი.

როგორც მშვიდობიანი მშენებლობის დღეებში, ისე ომის ცხარე დღეებშიც ამხანაგი სტალინი მზრუნველობით და მოთმინებით ზრდიდა წითელი არმიის ხელმძღვანელთა კადრებს, მეთაურთა კადრებს. ჩვენი ჯარების გენერლები და ოფიცრები ამხანაგ სტალინისაგან სწავლობდნენ სიმშვიდეს და სიდინჯეს, პანიკის უქონლობას წარუმატებლობის დროს და ნათელ სიფხიზლეს წარმატებათა დროს, უნარს მასების გაძღოლისას, მათი აღფრთოვანებისას სამშობლოს საქმისათვის თავდადებით საბრძოლველად, სიმტკიცესა და დაჟინებას მიზნის მიღწევაში.

ჩვენი მიზანი კი ნათელია: ჩვენ უნდა გავანადგუროთ გერმანელი ოკუპანტები და განვდევნოთ ისინი ჩვენი სამშობლოს საზღვრებიდან! ამ კეთილშობილური ამოცანის განხორციელებაში საპატიო როლს ასრულებენ წითელი არმიის მეთაურთა კადრები და მისი მხედართუფროსები. უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ისინი მამაცურად და უნარიანად მიუძღვებიან თავიანთ ჯარებს წინ, დასავლეთისაკენ, და ხერხემალს უტეხენ ჰიტლერელ მხეცს.

„პრავდის“ მოწინავე, 29/I.

მოსკოვი. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ამხანაგ სტალინს

ერევნის, ლენინაკანის, კიროვაკანისა და სომხეთის სხვა ქალაქებისა და რაიონების მშრომელებმა, რომლებიც აღფრთოვანებული არიან წითელი არმიის ბრწყინვალე წარმატებებით და მხარს უჭერენ ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეთა შესანიშნავ პატრიოტულ თაოსნობას, რომლებიც აღსავსენი არიან სურვილით კიდევ უფრო მეტი დახმარება გაუწიონ ჩვენს მშობლიურ წითელ არმიას, თავიანთი პირადი დანაზოგიდან შეაგროვეს და სახბანკში შეიტანეს 15.000.000 მანეთი საბრძოლო თვითმფრინავთა ასაგებად.

მუშებმა, მოსამსახურეებმა და ინტელიგენციამ კრებებზე სურვილი გამოსთქვეს, რომ მათ მიერ შეგროვებული სახსრებით აგებულ ავიაშენაერთს დაერქვას „საბჭოთა სომხეთი“.

სახსრების შემოტანა გრძელდება.

სომხეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი არუთინოვი

ერევანი. სომხეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. არუთინოვს

გადაეცით ჩემი ძმური სალამი და წითელი არმიის მადლობა ერევნის, ლენინაკანის, კიროვაკანისა და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების მშრომელებს, რომლებმაც 15.000.000 მანეთი შეაგროვეს ავიაშენაერთ „საბჭოთა სომხეთის“ ასაგებად.

ი. სტალინი

წყნარი ოკეანის ფლოტი

ვიცე-ადმირალ ამხ. ნუმაპოვს

სანაპირო სამსახურის გენერალ-მაიორ ამხ. ზახაროვს

სანაპირო სამსახურის გენერალ-მაიორ ამხ. საველოვს

გადაეცით ჩემი საბრძოლო სალამი და წითელი არმიის მადლობა წყნარი ოკეანის ფლოტის წითელ ფლოტელებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს და მათი ოჯახის წევრებს, რომლებმაც შეაგროვეს 5.000.000 მანეთი ბომბდამშენების ასაგებად, 5.000.000 მანეთი სამხედრო-საზღვაო ფლოტისათვის საბრძოლო ხომალდების ასაგებად და 1.000.000 მანეთი გერმანელ ოკუპანტთა მიერ დროებით დაპყრობილ ტერიტორიაზე გერმანელი მტარვალებისაგან დაზარალებულ ბავშვთა დასახმარებლად.

ი. სტალინი



საბჭოთა კავშირის მარშალი
გ. კ. ჟუკოვი

გენერალ-პოლკოვნიკი
კ. კ. როკოსოვსკი

გენერალ-ლეიტენანტი
პ. ი. ბატოვი

არმიის გენერალი
ი. ვ. ტიულენევი

უკანასკნელ საათს

I.

ჩვენი ჯარების წარმატებითი შეტევა ვორონეჟის დასავლეთით

ამ დღეებში ვორონეჟის დასავლეთით განლაგებული ჩვენი ჯარები შეტევაზე გადავიდნენ გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ. შეტევა დაიწყო სამი მიმართულებიდან: ჩრდილოეთიდან, აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან. ჩვენმა ჯარებმა 70 კილომეტრზე გაარღვიეს მოწინააღმდეგის ძლიერ გამაგრებული თავდაცვა, განაგრძობდნენ შეტევის განვითარებას და სამი დღის დაძაბული ბრძოლების განმავლობაში წინ წაიწიეს 40-50 კილომეტრით. ჩვენმა ჯარებმა 200-ზე მეტი დასახლებული პუნქტი დაიკავეს, მათ შორის ქალაქი და რკინიგზის დიდი კვანძი კასტორნოე, რაიონული ცენტრები — ვოლოვო, გოლოსნოვკა, ზემლიანსკი, გრემიაჩიე, ხოხოლი, რაიონული ცენტრები და რკინიგზის სადგურები გოროშევნოე, ლაჩინოვო, სემილუკი, რკინიგზის სადგურები ლატნაია, კურბატოვო, პროკუროვო, ნაბერეჟნოე.

ჩვენმა ჯარებმა წარმატებით განახორციელეს კონცენტრული დარტყმები საერთო მიმართულებით კასტორნოეზე და დასავლეთისაკენ დასახევი გზები მოუჭრეს გერმანელ ფაშისტთა ჯარებს.

ჩვენი ჯარების შეტევის მსვლელობაში განადგურებულია გერმანელთა 383-ე, 82-ე, 340-ე, 377-ე, 323-ე, 57-ე და 68-ე ქვეითი დივიზიები, 45-ე ქვეითი დივიზიის პოლკი და 299-ე ქვეითი დივიზიის პოლკი. ამ შენაერთებისა და ნაწილების ნაშთები გარშემორტყმულია მჭიდრო რკალით და მათ სპობენ ჩვენი ჯარები კასტორნოეს აღმოსავლეთით მდებარე რაიონში.

სამი დღის ბრძოლების განმავლობაში ტყვედ წამოყვანილია 14.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ამავე ხნის განმავლობაში, ჯერ კიდევ არასრული ცნობებით, ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს შემდეგი დავლა: 107 ტანკი, სხვადასხვა ყალიბის 340 ქვემეხი, 264 ტყვიამფრქვევი, 8.000 შაშხანა, 40 რადიოსადგური, 1.217 ავტომანქანა, 307 მოტოციკლი, 24 რკინიგზის ეშელონი სამხედრო ტვირთიანად, 36 საწყობი საომარ მასალიანად, საჭურვლიანად და სურსათიანად.

სამი დღის ბრძოლების განმავლობაში მოწინააღმდეგემ 12.000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა მარტო მოკლულთა სახით.

მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევა განხორციელებულია გენერალ-ლეიტენანტ ამხ. მ. ა. რეიტერის და გენერალ-პოლკოვნიკ ამხ. ფ. ი. გოლიკოვის ჯარების ძალებით.

ბრძოლებში თავი ისახელეს გენერალ-მაიორ ამხ. ნ. პ. პუხოვის, გენერალ-ლეიტენანტ ამხ. ნ. ე. ჩიბისოვის, გენერალ-ლეიტენანტ ამხ. კ. ს. მოსკალენკოს, გენერალ-მაიორ ამხ. ი. დ. ჩერნიახოვსკის ჯარებმა და გენერალ-მაიორ ამხ. მ. ი. გლუხოვისა და სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ ამხ. ა. გ. კრავჩენკოს სატანკო შენაერთებმა.

II.

ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქები ნოვი ოსკოლი და კროპოტკინი

1) 29 იანვარს ვორონეჟის ფრონტის ჯარებმა, გადამწყვეტი იერიშის შედეგად, დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის დიდი სადგური ნოვი ოსკოლი.

სავსებით დამთავრდა იტალიელთა ალპური კორპუსის მოსპობა და ტყვედ ჩაგდება. დამატებით წამოყვანილია ტყვედ 11.000 იტალიელი ჯარისკაცი და ოფიცერი, მათ შორის დივიზიის მეთაურები გენერლები უმერტი, ბატისტი და პასკალინი მათი შტაბებიანად. ამრიგად, ვორონეჟის ფრონტის ამ უბანზე წამოყვანილ ტყვეთა რაოდენობამ 28 იანვრის დამლევისათვის 86.000 ჯარისკაცსა და ოფიცერს მიაღწია.

2) ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ჯარებმა, შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ, დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის დიდი კვანძი კროპოტკინი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო

დეპეშების გაცვლა-გამოცვლა სსრ კავშირსა, დიდ ბრიტანეთსა და ირანს შორის მოკავშირეობის ხელშეკრულების დადების წლისთავის გამო

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ი. ბ. სტალინის დეპეშა ირანის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ბ-ნ ახმედ გავამისადმი

სსრ კავშირსა, დიდ ბრიტანეთსა და ირანს შორის მოკავშირეობის ხელშეკრულების დადების წლისთავის გამო ჩემს გულწრფელ სალამს გიძღვნით და რწმენას გამოვთქვამ, რომ ეს ხელშეკრულება ხელს შეუწყობს ჩვენს ხალხთა შორის არსებული მეგობრული ურთიერთობის შემდგომს განმტკიცებას.

ი. სტალინი

ირანის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ბ-ნ ახმედ გავამის დეპეშა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი

სამთა მოკავშირეობის ხელშეკრულების ხელისმოწერის წლისთავის გამო ვთხოვ თქვენს აღმატებულებას მიიღოს ჩემი გულითადი მოლოცვა და საბჭოთა ხალხების ბედნიერებისა და აყვავების. უაღრესად მხურვალე სურვილები. დარწმუნებული ვარ, რომ ხელშეკრულებით შექმნილი სული მჭიდრო თანამშრომლობისა კიდევ უფრო განამტკიცებს მეგობრობას, რომელიც ჩვენს ორივე ქვეყანას აერთიანებს.

ახმედ გავამი

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის დეპეშა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ მოჰამედ საედისადმი

სსრ კავშირსა, დიდ ბრიტანეთსა და ირანს შორის მოკავშირეობის ხელშეკრულების დადების წლისთავზე, რაც გამოხატავს ამ ხელშეკრულების მონაწილეთა ნებისყოფას მჭიდრო თანამშრომლობისადმი ირანისა და მოკავშირეთა საერთო საქმის უშიშროების სასარგებლოდ, მიიღეთ მეგობარი ირანისათვის შემდგომი წარმატებისა და აყვავების გულწრფელი სურვილი.

ვ. მოლოტოვი

ირანის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ მოჰამედ საედის დეპეშა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ვ. მ. მოლოტოვისადმი

სამთა მოკავშირეობის ხელშეკრულების ხელისმოწერის წლისთავის გამო ბედნიერი შემთხვევა მეძლევა ჩემი საუკეთესო გრძნობები გამოვთქვა თქვენი აღმატებულების მიმართ და გულწრფელად ვუსურვო საბჭოთა ხალხებს ბედნიერება და აყვავება. დარწმუნებული ვარ, რომ ამ ხელშეკრულებით შექმნილი სული მჭიდრო თანამშრომლობისა ხელს შეუწყობს იმას, რომ კიდევ უფრო განმტკიცდეს მეგობრობა ჩვენს ორივე ქვეყანას შორის და შესაძლებლობას მოგვცემს, რომ სრული ნდობით ვუყურეთ მომავალს.

მოჰამედ საედი

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა წითელი არმიის უმაღლესი მეთაურთა შემადგენლობის ორდენებით დაჯილდოების შესახებ

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში საბრძოლო ოპერაციების უნარიანი და მამაცური ხელმძღვანელობისათვის და ამ ოპერაციების შედეგად მიღწეული წარმატებებისათვის დაჯილდოებულ იქნან:

სუვოროვის I ხარისხის ორდენით

1. გენერალ-ლეიტენანტი პავლე ივანეს-ძე ბატოვი
2. არმიის გენერალი ალექსანდრე მიხეილის-ძე ვასილევსკი
3. არტილერიის მარშალი ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე ვორონოვი
4. გენერალ-პოლკოვნიკი ნიკოლოზ თევდორეს-ძე ვატუტინი
5. გენერალ-პოლკოვნიკი ლეონიდე ალექსანდრეს-ძე გოვოროვი
6. გენერალ-პოლკოვნიკი ფილიპე ივანეს-ძე გოლიკოვი
7. ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი ალექსანდრე ევგენის-ძე გოლოვანოვი
8. გენერალ-პოლკოვნიკი ანდრია ივანეს-ძე ერემენკო
9. საბჭოთა კავშირის მარშალი გიორგი კონსტანტინეს-ძე ჟუკოვი
10. გენერალ-ლეიტენანტი ვასილ ივანეს-ძე კუზნეცოვი
11. გენერალ-ლეიტენანტი დიმიტრი დანიელის-ძე ლელიუშენკო
12. გენერალ-ლეიტენანტი როდიონ იაკობის-ძე მალინოვსკი
13. გენერალ-ლეიტენანტი ივანე ივანეს-ძე მასლენიკოვი
14. არმიის გენერალი კირილე ათანასეს-ძე მერეცკოვი
15. გენერალ-ლეიტენანტი კირილე სიმონის-ძე მოსკალენკო
16. ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკი ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე ნოვიკოვი
17. გენერალ-ლეიტენანტი მარკიანე მიხეილის-ძე პოპოვი
18. გენერალ-პოლკოვნიკი კონსტანტინე კონსტანტინეს-ძე როკოსოვსკი
19. გენერალ-ლეიტენანტი პავლე სიმონის-ძე რიბალკო
20. გენერალ-ლეიტენანტი თევდორე ივანეს-ძე ტოლბუხინი
21. გენერალ-ლეიტენანტი ივანე მიხეილის-ძე ჩისტიაკოვი
22. გენერალ-ლეიტენანტი ვასილ ივანეს-ძე ჩუიკოვი
23. გენერალ-ლეიტენანტი მიხეილ სიმონის-ძე შუმილოვი.

კუტუზოვის I ხარისხის ორდენით

1. გენერალ-ლეიტენანტი ივანე ვასილის-ძე გალანინი
2. გენერალ-მაიორი კუზმა ნიკიტას-ძე გალიცკი
3. გენერალ-ლეიტენანტი მიხეილ სტეფანეს-ძე გოლოვანინი
4. გენერალ-მაიორი მიხეილ პავლეს-ძე დუხანოვი
5. გენერალ-ლეიტენანტი ალექსი სიმონის-ძე ჟადოვი
6. არტილერიის გენერალ-ლეიტენანტი დანიელ არსენტის-ძე ჟურავლიოვი
7. გენერალ-ლეიტენანტი გიორგი თევდორეს-ძე ზახაროვი
8. გენერალ-მაიორი კონსტანტინე აპოლონის-ძე კოროტეევი
9. გენერალ-ლეიტენანტი მიხეილ სერგის-ძე მალინინი
10. გენერალ-პოლკოვნიკი მაქსიმე ალექსის-ძე პურკაევი
11. გენერალ-ლეიტენანტი ვლადიმერ ზაქარიას-ძე რომანოვსკი
12. გენერალ-ლეიტენანტი პროკოფი ლოგინეს-ძე რომანენკო
13. არმიის გენერალი ივანე ვლადიმერის-ძე ტიულენევი
14. გენერალ-მაიორი ნიკოლოზ ივანეს-ძე ტრუფანოვი
15. გენერალ-ლეიტენანტი ივანე ივანეს-ძე ფედიუნინსკი
16. გენერალ-ლეიტენანტი თევდორე მიხეილის-ძე ხარიტონოვი
17. გენერალ-მაიორი ვასილ ათანასეს-ძე ხომენკო.

სუვოროვის II ხარისხის ორდენით

1. სატანკო ჯარების გენერალ-მაიორი ვასილ ტიმოთეს-ძე ბოლსაკი
2. გენერალ-ლეიტენანტი ნიკოლოზ იაკობის-ძე კირიჩენკო
3. სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტი ევსევიმე გრიგოლის-ძე პუშკინი
4. გენერალ-მაიორი სერგი ვლადიმერის-ძე სოკოლოვი.

კუტუზოვის II ხარისხის ორდენით

1. გენერალ-ლეიტენანტი ვასილ ფილიპეს-ძე გერასიმენკო
2. გენერალ-მაიორი პეტრე მიხეილის-ძე კოზლოვი
3. გენერალ-მაიორი კონდრატე სიმონის-ძე მელნიკი
4. გენერალ-მაიორი ალექსი გორდეის-ძე სელივანოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წლის 28 იანვარი.

ჩრდილოეთ აფრიკაში ჩერჩილისა და რუზველტის შეხვედრის გამო ინგლის-ამერიკის პრესის გამოხმაურება

ლონდონი, 28 იანვარი (საკდესი). ინგლისის პრესა ვრცელ კომენტარებს უძღვნის ჩერჩილისა და რუზველტის შეხვედრას ჩრდილოეთ აფრიკაში.

გაზეთი „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ შეხვედრისადმი მიძღვნილ მოწინავე სტატიაში სწერს: „1943 წლის სამხედრო პრობლემა თავისი უმარტივესი და ზოგადი ფორმით იმაში მდგომარეობს, თუ როგორ შესძლებენ ჰოკავშირეები დასავლეთში, რაც შეიძლება კარგად შეუწყონ ხელი რუსების გამარჯვებათა განვითარებას და ამ გამარჯვებათა შეესებას. გერმანელები, რომელნიც უკვე ახლა შეშფოთებული არიან აღმოსავლეთში თავიანთი გაჭიმული ფრონტის ყოველ უბანზე შექმნილი მდგომარეობით, იძულებული იქნებიან წელს ასევე იზრუნონ თავიანთი გრძელი ფრონტისათვის, რომელიც გადაჭიმულია დასავლეთსა და სამხრეთში, ნარვიკიდან საბერძნეთამდე. ამ ხაზის ყოველ უბანზე ისინი მუდამ ფხიზლად უნდა იყვნენ. როგორც ოფიციალური, ისე არაოფიციალური ანგარიშები შეხვედრის შესახებ მოწმობენ ულრმეს სინანულს იმის გამო, რომ ამ შეხვედრას ვერ დაესწრნენ სხვა გაერთიანებული ერების ხელმძღვანელნი. მაგრამ პრემიერი სტალინი გართულია მოწინააღმდეგეზე იმ თავზარდამცემი ძალის დარტყმებით, რომელთა შედეგი რუზველტისა და ჩერჩილის მოლაპარაკების მთელ შინაარსს დაეტყო. არ შეიძლებოდა იმის მოლოდინი ყოფილიყო, რომ სტალინი რუსეთიდან წასვლას შესძლებდა ასე დიდმნიშვნელოვან და აღმაფრთოვანებელ ჟამს. მაგრამ რუსეთი სავსებით გაცნობილი იყო შეხვედრის მზადებას და მის შედეგებს“. გაზეთი აღნიშნავს, რომ მომავალი გაზაფხული ცხადჰყოთს, შესძლებენ თუ არა გერმანელები წელში გაიმართონ იმ დარტყმების შემდეგ, რომლებიც მათ რუსებმა აგებეს ამ ზამთარში. ამ დროისათვის სხვა ფრონტებზე განხორციელებულ მძლავრ დარტყმებს, შეეძლოთ მოწინააღმდეგის დამარცხება მის გაწადგურებად გადაქცეოდ.

გაზეთ „ტაიმსის“ დიპლომატიური მიმომხილველი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ის გრანდიოზული ბრძოლა, რომელსაც რუსები ეწოდენ მამაცურად და ძლევამოსილად ეწევიან, კასაბლანკაში წარმოებული მოლაპარაკების ერთ-ერთი გადატონებული თემა იყო. რომ მიღებული გადაწყვეტილებანი მიზნად ისახავენ ხელი შეუწყონ რუსეთის სამხედრო ძლიერებას კიდევ თოფრ განმტკიცებას.

ბევრი გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოლაპარაკებში თანასაზრნი ადგილი დაიკავა ომრძოლ სახელმწიფოთა წინააღმდეგ მოკავშირეებთან ერთად ბრძოლისათვის ყველა ფრანგთა გაერთიანების პრობლემამ. გაზეთი „ტაიმსი“ სწერს, კასაბლანკა შეხვედრის ადგილად არ იქნებოდა არჩეული, დე გოლისა და ჟიროს შეთანხმება მოკავშირეთა უშუალო ზრუნვის საგანი რომ არ ყოფილიყო. ევროპის კონტინენტზე 1943 წელს შექრის გეგმის განხორციელება დამოკიდებულია მოწინააღმდეგის სწრაფ განდევნაზე ტუნისის იმ პუნქტებიდან, სადაც ის ჯერ კიდევ გამაგრებულია, კომუნიკაციების აფრიკის ხაზებზე მოკავშირეთა შორის გაუგებრობათა განგრძობას, აეცხადებს გაზეთი, შეუძლია შეაფერხოს კამპანიის ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი წინასწარი ეტაპის დამთავრება.

გაზეთი „დეილი ჰერალდი“ ფიქრობს, რომ დე გოლისა და ჟიროს შეხვედრასთან და მათს დეკლარაციასთან დაკავშირებით, მდგომარეობა ჩრდილოეთ აფრიკაში გაუმჯობესდა, მაგრამ სიცხადეს ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლია, რაც კვლავ დიდად აფიქრებს მოკავშირე ქვეყნების ხელმძღვანელებსა და ხალხებს.

ნიუ-იორკი, 28 იანვარი (საკდესი). ჩრდილოეთ აფრიკაში ჩერჩილისა და რუზველტის შეხვედრას გაცხოველებით უკეთებენ კომენტარს ამერიკული გაზეთები. გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი, რომელიც კასაბლანკაში იმყოფება, აცხადებს, რომ რუზველტისა და ჩერჩილის მოლაპარაკება, ალბათ, ბოლოს მოუღებს იმ ხანგრძლივ სიჩუმეს, რაც ტუნისის საომარ ოპერაციებში სუფევდა. რუზველტმა გამოიყენა „ფორმულა „ომი უთუო კაპიტულაციამდე“ მოწინააღმდეგეებისა, როგორც მოკავშირეთა პოლიტიკური სტრატეგიის საფუძველი. ეს ფორმულა მოწმობს იმას, რომ ღერძის სახელმწიფოთა ხელმძღვანელებს არ დაინდობენ.

როგორც გაზეთ „პ. მ.“ სამხედრო მიმომხილველი აღნიშნავს, კასაბლანკაში შემდგარი შეხვედრა იმას მოწმობს, რომ მოკავშირეთა გეგმის საფუძველს შეადგენს ევროპაში მათ შეიარაღებული ძალების შეჭრა. 1943 წელს, სწერს მიმომხილველი, მოკავშირენი შეტევას განახორციელებენ ყველა ფრონტზე. ამასთან თავიანთ პირველ მიზნად ისახავენ ჰიტლერის განადგურებას.

გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ სინანულს გამოსთქვამს იმის გამო, რომ სტალინმა ვერ შესძლო მონაწილეობა მიეღო მოლაპარაკებაში. „რომლისთვისაც მას შეეძლო ხელი შეეწყო თავისი ცოდნითა და სიბრძნით“, და აღნიშნავს, რომ მიუხედავად ამისა, მოლაპარაკებაში მთავარი ყურადღება იქცეოდა იმ საკითხს, თუ რანაირად შეუძლიათ მოკავშირეებს დაეხმარონ რუსეთს — განაგრძოს თავისი მძლავრება ჰიტლერელებზე.

ამერიკული გაზეთები თანაერთ (კომენტარებში) დიდ ყურადღებას უთმობენ შეხვედრის შედეგებს, ჩრდილოეთ აფრიკაში პოლიტიკური პრობლემების მოწესრიგების საკმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

29 იანვრის დილის ცნობა

28 იანვრის ღამის განმავლობაში, სამხრეთ-დასავლეთის, სამხრეთის, ჩრდილოეთ კავკასიის, ვორონეჟის, ვოლხოვისა და ლენინგრადის ფრონტების ჯარები განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს წინანდელი მიმართულებებით.

* * *

დონის ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ მტრის დაქაქსული ჯგუფების მოსპობას. გერმანელები სათითოოდ და ჯგუფებად ჰყრიან იარაღს და ტყვედ გვნებდებიან. 5 ნაწილმა ხელთ იგდო 240 ტყვე. გვარდიის ქვეგანაყოფებმა დაიკავეს მტრის მთელი რიგი სიმაგრეები და ტყვედ წამოიყვანეს 190 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ნადავლის რაოდენობა განუწყვეტლად მატულობს.

* * *

სამხრეთის ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს და მთელ რიგ უბნებზე იგერიებდნენ მტრის კონტრიერიშებს. 6 ნაწილის მებრძოლებმა მოიგერიეს მტრის ქვეითი ჯარის კონტრიერიში და დაიკავეს გერმანელთა გამაგრებული პოზიციები. ხელთ ვიგდეთ 6 ტყვიამფრქვევი, 4 ნაღმსატყორცნი, სომარმასალათა საწყობი და რადიოსადგური.

* * *

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ წინანდელი მიმართულებებით. 6 ნაწილმა დაიკავა ერთი დასახლებული პუნქტი და მოსპო მტრის ორი ასეული ქვეითი ჯარი. სხვა უბანზე ჩვენმა მებრძოლებმა გაანადგურეს გერმანელთა დიდი რაზმი. წამოღებულია ტანკი, 2 ქვემეხი, 13 ტყვიამფრქვევი და სხვა დაკლ.

* * *

ვორონეჟის ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ წარმატებითი შეტევის განვითარებას. 6 შენაერთმა გასტეხა მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა, ორი დღის ბრძოლების განმავლობაში 33 დასახლებული პუნქტი გაათავისუფლა და 20 კილომეტრით წაიწია წინ. ტყვედ წამოყვანილია 300-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და წამოღებულია დიდი დაკლ. ტანკისტები და გვარდიელი კავალერისტები სპობენ მტრის გარშემორტყმულ დაჯგუფებას და 3.000-მდე ჰიტლერელი გასწყვიტეს. ტყვედ წამოყვანილია მტრის 6.000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი, მათს რიცხვში სამი გენერალი.

* * *

ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ შეტევას. ქუჩის ბრძოლებში 6 მსროლელი ნაწილის ქვეგანაყოფებმა 200-ზე მეტი ჰიტლერელი გასწყვიტეს. წამოყვანილია ტყვეები. სხვა უბანზე ჩვენი მოძრავი ჯგუფები მტრის ზურგში შეიჭრნენ და უკანდასახევი გზა მოუჭრეს გერმანელთა დიდ ავტოკოლონას. სწარმოიბს ბრძოლა მტრის ავტოკოლონის მოსასპობად. 5 ნაწილის მზვერავთა რაზმი ღამით გერმანელების მიერ დაკავებულ დასახლებულ პუნქტში შეიჭრა და ხანმოკლე შეტაკების შედეგად დაიკავა ეს დასახლებული პუნქტი. ხელთ ვიგდეთ 3 ტანკი, 12 ავტომანქანა, 4 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, საწყობი საომარმასალიანად და საწყობი ტანსაცმლიანად.

* * *

ლიტვის სს რესპუბლიკის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმი თავს დაესხა ერთ დასახლებულ პუნქტში დაბანაკებულ გერმანელთა გარნიზონს. საბჭოთა პატრიოტებმა გაანადგურეს საპოლიციო უბანი და დასწვეს გერმასელთა 3 საწყობი. სხვა რაზმის პარტიზანთა ჯგუფმა ლიანდაგიდან გადააგდო მტრის სამხედრო ეშელონი. მოსპობილია ორთქლმავალი, პლატფორმები საომარ ტექნიკიანად და რამდენიმე ვაგონი ჯარისკაცებიანად.

* * *

გერმანელთა 25-ე მოტორიზებული დივიზიის 35-ე პოლკის მე-9 ასეულის ტყვე ობერლეიტენანტმა იულიუს ვანჭიკმა განაცხადა: „უნგრა-ბრიანსკის გზაზე უკანასკნელ დროს მატარებელთა ძალიან ბევრი მარცხი იყო. მე ვიცი, რომ დეკემბერში პარტიზანებმა ამ რაიონში ლიანდაგიდან გადააგდეს 15 მატარებელი ჯარებიანად“. გერმანელთა 293-ე ქვეითი დივიზიის 511-ე პოლკის მე-5 ასეულის ტყვე ობერ-ეფრეიტორმა კურტ მაგდებურგმა განაცხადა: „ჰოსპიტლებიდან დაბრუნებული ჯარისკაცები გვიამბობენ რკინიგზებზე მომხდარი მრავალრიცხოვანი დივერსიებისა და მარცხის შესახებ. პარტიზანები ეშელონებს სროლას უტეხენ არა მარტო ღამით. არამედ დღისითაც. არ შეიძლება იმის დამალვა, რომ გერმანელ ჯარისკაცებს ეშინიათ რუსი პარტიზანებისა“.

29 იანვრის საღამოს ცნობა

ამ დღეებში ვორონეჟის დასავლეთით განლაგებული ჩვენი ჯარები შეტევაზე გადავიდნენ გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ. სამი დღის დაძაბული ბრძოლების განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს 200-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ქალაქი და რკინიგზის დიდი კვანძი კასტორნოე, რაიონული ცენტრები—ვოლოვო, ბოლშოვნოვკა, ზემლიანსკი, გრემიაჩიე, ხოხოლი, რაიონული ცენტრები და რკინიგზის სადგურები — გორშეჩნოე, ლაჩინოვო, სემიოლუკი, რკინიგზის სადგურები — ლატნაია, კურბატოვო, პროკოფოვო, ნაბერეჟნოე.

29 იანვარს ვორონეჟის ფრონტის ჯარებმა გადამწყვეტი იერიშის შედეგად დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის დიდი სადგური ნოვი ოსკოლი.

ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ჯარებმა, შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ, დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის დიდი კვანძი კროპოტკინი, რაიონული ცენტრი ტემირგოევსკაია.

* * *

28 იანვარს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დაზიანეს გერმანელთა 400-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად. ჩაახშეს 10 საარტილერიო ბატარეის ცეცხლი. დაამსხვრიეს 3 სარკინიგზო შემადგენლობა, ვაგონტენ და ნაწილობრივ მოსპეს მტრის სამ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

* * *

დონის ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ ჰიტლერელთა დაქაქსული ჯგუფების ალეგტას. სტალინგრადის ცენტრალური ნაწილის აზლოს გაწყვეტილია გერმანელთა 300 ჯარისკაცი და ოფიცერი. ტყვედ წამოყვანილია მტრის 450-მდე ჯარისკაცი, ბევრი ოფიცერი და მათ შორის ერთი გენერალი. სტალინგრადის ჩრდილოეთით ჩაიჭრა ნაწილებმა ოთხრო დაავიწროს და გარშემორტყმის რკალი და გასწყვეტის ბიერი ჰიტლერელი. ხელთ ვიგდეთ 25 ქვემეხი, 56 ტყვიამფრქვევი, ვაგონიანი მანქანა, 7 ყველგანმავალი, 91 ავტომანქანა და სომარ მასალათა 4 საწყობი.

* * *

სამხრეთის ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და ძალთა ნაწილით იგერიებდნენ მტრის კონტრიერიშებს გერმანელებმა დიდძალი ტანკები და მოტოქვეითი ჯარი მოიშველიეს და შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევენ. საბჭოთა ნაწილებმა მოიგერიეს მტრის კონტრიერიშები და ნელა მიიწევდნენ წინ. 5 საბჭოთა მფრინავ გამანადგურებელზე კაპიტან კუზმინის მეთაურობით, იერიშში მოიტანა გერმანელთა 14 თვითმფრინავამ, ოთხ ლეტენანტ ბ. ტ. ... ...